


დავალებები №1–28-ის პასუხები:

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
ა	x					x	x							
ბ			x									x		
გ				x			x				x		x	
ძ				x				x						

	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28
ა			x					x						
ბ				x		x				x	x			
გ		x		x			x							
ძ	x				x									x

დავალებები №1–28-ის შეფასების სქემა:  
ყოველი დავალების სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით,  
ხოლო მცდარი პასუხი – 0 ქულით.

29. სხეული აისროლეს ვერტიკალურად ზევით. დაამყარეთ შესაბამისობა  
სხეულის მახასიათებელ ქვემოთ ჩამოთვლილ ფიზიკურ სიდიდეებსა და მათი  
დროზე დამოკიდებულების გამომსახველ თვისებრივ გრაფიკებს შორის.



1. გავლილი მანძილი
2. სიჩქარე
3. კინეტიკური ენერგია
4. პოტენციური ენერგია
5. აჩქარება
6. სიმაღლე

	1	2	3	4	5	6
ა				x		x
ბ	x					
გ			x			
ძ		x				
ჯ						
ს					x	

მიღებული ქულა უდრის სწორად შევსებული სვეტების რიცხვს მინუს ერთი  
(მაქს. 5 ქულა)

**30.** m მასის სხეული თანაბრად ბრუნავს R რადიუსის წრეწირზე v სიჩქარით. ამ დროს კუთხური სიჩქარეა ω, სხეულზე მოქმედი ძალის მოდულია F, სხეულის იმპულსია p, ხოლო სხეულის კინეტიკური ენერგიაა E.  
დაამყარეთ შესაბამისობა ჩამოთვლილ ფიზიკურ სიდიდეებსა და გამოსახულებებს შორის და შეავსეთ ცხრილი.

- |      |                              |
|------|------------------------------|
| 1. m | a. $p\omega$                 |
| 2. R | b. $\sqrt{2mE}$              |
| 3. v | c. $\frac{FR}{2}$            |
| 4. ω | d. $\frac{\sqrt{2FER}}{v^2}$ |
| 5. F | e. $\frac{2E}{F}$            |
| 6. p | f. $\frac{pR\omega^2}{F}$    |
| 7. E | g. $\sqrt{\frac{2E}{mR^2}}$  |

	1	2	3	4	5	6	7
ა					x		
ბ						x	
გ							x
დ	x						
ქ		x					
პ			x				
ჟ				x			

მიღებული ქულა უდრის სწორად შევსებული სტრიქონების რიცხვს მინუს ერთი  
(მაქს. 6 ქულა)


**31.** დაამყარეთ შესაბამისობა ფიზიკური სიდიდეებსა და ერთეულებს შორის და შეავსეთ ცხრილი.

- |                         |  |
|-------------------------|--|
| 1. ძალა                 | a. $\delta\theta/\partial \cdot \nabla \theta^2$   |
| 2. სიმძლავრე            | b. $\delta\theta/\nabla \theta^2$                  |
| 3. ენერგია              | c. $\delta\theta \cdot \partial / \nabla \theta^2$ |
| 4. გრავიტაციული მუდმივა | d. $\delta\theta \cdot \theta^2 / \nabla \theta^2$ |
| 5. სიხისტე              | e. $\delta\theta \cdot \theta^2 / \nabla \theta^3$ |
| 6. წნევა                | f. $\theta^3 / \delta\theta \cdot \nabla \theta^2$ |
| 7. ძალის მომენტი        | g. $\delta\theta \cdot \theta^3 / \nabla \theta^2$ |

	1	2	3	4	5	6	7
ა					x		
ბ						x	
გ	x						
დ			x				x
ქ		x					
პ				x			
ჟ							

მიღებული ქულა უდრის სწორად შევსებული სგეტების რიცხვს მინუს ორი  
(მაქს. 5 ქულა)

**32. (მაქს. 5 ქულა)** ნახატზე მოცემულ სქემაში ამპერმეტრის ჩვენებაა 2 ა, რეზისტორების წინაღობები მითითებულია ნახატზე, დენის წყაროს შიგა წინაღობაა  $r=1$  ომი, კონდენსატორის ტევადობაა  $C=2$  ფაფ.



1. განსაზღვრეთ გარე წრედის სრული წინაღობა.
2. განსაზღვრეთ დენის ძალა  $R_2$  წინაღობაში.
3. განსაზღვრეთ  $R_4$  წინაღობაში გამოყოფილი სიმძლავრე.
4. განსაზღვრეთ კონდენსატორის მუხტი.
5. განსაზღვრეთ დენის წყაროს ელექტრომამოძრავებელი ძალა.

ამოხსნა:

$$1. \quad R' = \frac{R_1 \cdot R_2}{R_1 + R_2} = 2 \text{ მ}\Omega, \quad R'' = \frac{R_4}{2} = 4 \text{ მ}\Omega, \quad R = R' + R_3 + R'' = 11 \text{ მ}\Omega$$

(1 ქულა)

$$2. \quad U' = I_1 R_1 = 6 \text{ ვ}, \quad I_2 = \frac{U'}{R_2} = 1 \text{ ა} \quad (1 \text{ ქულა})$$

$$3. \quad \text{წრედში სრული დენის ძალაა } I = I_1 + I_2 = 3 \text{ ა}. \quad I_4 = I/2 = 1,5 \text{ ა},$$


$$P_4 = I_4^2 R_4 = 18 \text{ ვ} \quad (1 \text{ ქულა})$$

$$4. \quad U_C = U_3 = IR_3 = 15 \text{ ვ}, \quad q = CU_C = 30 \text{ ფ} \quad (1 \text{ ქულა})$$

$$5. \quad \mathcal{E} = I(R+r) = 36 \text{ ვ} \quad (1 \text{ ქულა})$$

**33. (მაქს. 5 ქულა) პელიუმზე**

განხორციელდა ნახატზე გამოსახული 1–2 პროცესი. საწყის მდგომარეობაში აირის მოცულობაა  $V_1=V_0$ , წნევაა  $p_1=p_0$ , აბსოლუტური ტემპერატურაა  $T_1=T_0$ . საბოლოო მდგომარეობაში მოცულობაა  $V_2=3V_0$ , წნევაა  $p_2=2p_0$ .



1. განსაზღვრეთ აირის აბსოლუტური ტემპერატურა საბოლოო მდგომარეობაში.
2. განსაზღვრეთ აირის შესრულებული მუშაობა.
3. განსაზღვრეთ აირის შინაგანი ენერგიის ცვლილება.
4. განსაზღვრეთ აირის მიღებული სითბოს რაოდენობა.

ამოხსნა:

$$1. \frac{p_0 V_0}{T_0} = \frac{p_2 V_2}{T_2} \Rightarrow T_2 = 6T_0 \quad (1 \text{ ქულა})$$


$$2. A = \frac{p_0 + 2p_0}{2} \cdot 2V_0 = 3p_0 V_0 \quad (1 \text{ ქულა})$$

$$3. \Delta U = \frac{3}{2} \frac{m}{M} RT_2 - \frac{3}{2} \frac{m}{M} RT_0 \quad (1 \text{ ქულა})$$

$$\Delta U = \frac{3}{2} p_2 V_2 - \frac{3}{2} p_0 V_0 = \frac{15}{2} p_0 V_0 \quad (1 \text{ ქულა})$$

$$4. Q = \Delta U + A = \frac{21}{2} p_0 V_0 \quad (1 \text{ ქულა})$$

**34. (მაქს. 5 ქულა)** თ მასის ბურთულა  $k$  სიხისტის პორიზონტალური ზამბარით მიმაგრებულია კედელთან (იხ. ნახ.). თავდაპირველად ბურთულა უძრავია, ხოლო ზამბარა არაა დეფორმირებული. ამ ბურთულას დრეკადად ეჯახება ზამბარის გასწვრივ ვ სიჩქარით მოძრავი თ მასის მეორე ბურთულა. ხახუნი პორიზონტალურ ზედაპირთან და პაერთან უგულებელყავით. დაჯახების დროში ზამბარა ვერ ასწრებს დეფორმირებას.



1. დაამტკიცეთ, რომ დაჯახების შედეგად მეორე ბურთულა გაჩერდება, ხოლო პირველი ბურთულა შეიძენს ვ სიჩქარეს.
2. განსაზღვრეთ ზამბარის მაქსიმალური შეცუმშვა.
3. განსაზღვრეთ პირველი დაჯახების მომენტიდან რა დროში დაეჯახებიან ბურთულები ისევ ერთმანეთს.

ამოხსნა:

$$1. \quad mv = mv_1 + mv_2 \quad \frac{mv^2}{2} = \frac{mv_1^2}{2} + \frac{mv_2^2}{2} \quad (1 \text{ ქულა})$$

$v^2 = v_1^2 + 2v_1v_2 + v_2^2$  აქედან და ენერგიის მუდმივობის კანონიდან გამომდინარეობს, რომ  $v_1v_2 = 0 \Rightarrow v_2 = 0$ , რადგანაც პირველი ბურთულა ვერ დარჩებოდა უძრავი. იმპულსის მუდმივობის კანონიდან კი  $v_1=v$ .

ან მიღებულია იგივე შედეგი სხვა ხერხით.  $(1 \text{ ქულა})$

$$2. \quad \frac{mv^2}{2} = \frac{kx_{\max}^2}{2} \Rightarrow x_{\max} = v \sqrt{\frac{m}{k}} \quad (1 \text{ ქულა})$$

$$3. \quad T = 2\pi \sqrt{\frac{m}{k}} \quad (1 \text{ ქულა})$$

$$t = \frac{T}{2} = \pi \sqrt{\frac{m}{k}} \quad (1 \text{ ქულა})$$

**35. (მაქს. 5 ქულა)**  $x$  დერძვე მოძრავი  $m$  მასის სხეულის იმპულსის გეგმილის დროზე დამოკიდებულება მოიცემა ფორმულით  $p_x(t)=At^4+B\cos2\pi vt$ .

1. მოიყვანეთ  $A$ ,  $B$  და  $v$  სიდიდეების განზომილებები SI სისტემაში.
2. იპოვეთ სხეულზე მოქმედი ძალის გეგმილის დამოკიდებულება დროზე  $F_x(t)$
3. იპოვეთ კოორდინატის დამოკიდებულება დროზე  $x(t)$ , თუ საწყისი კოორდინატი ნულის ტოლია.

ამოხსნა:

$$1. [A] = \frac{\text{ნეტო}}{\text{წმ}^5}, \quad [B] = \frac{\text{ნეტ}}{\text{წმ}}, \quad [v] = \frac{1}{\text{წმ}} = \text{ჰერც} \quad (1 \text{ ქულა})$$

$$2. F_x(t) = d p_x(t)/dt = 4At^3 - 2\pi v B \sin 2\pi vt. \quad (2 \text{ ქულა})$$

1 ქულა ხარისხოვანი ფუნქციის გაწარმოებაში

1 ქულა ტრიგონომეტრიული ფუნქციის გაწარმოებაში

$$3. x(t) = \int_0^t v_x(\tau) d\tau = \int_0^t \frac{p_x(\tau)}{m} d\tau = \frac{A}{m} \int_0^t \tau^4 d\tau + \frac{B}{m} \int_0^t \cos 2\pi v \tau d\tau$$

$$x(t) = \frac{At^5}{5m} + \frac{B \sin 2\pi vt}{2\pi v m} \quad (2 \text{ ქულა})$$

1 ქულა ხარისხოვანი ფუნქციის ინტეგრებაში

1 ქულა ტრიგონომეტრიული ფუნქციის ინტეგრებაში

**36. (მაქს. 3 ქულა)** აზრობრივი ექსპერიმენტი: თქვენი მიზანია ფორმულების გარეშე დაანახოთ მოსწავლეებს, რომ ქანქარის რხევის პერიოდი არ არის დამოკიდებული ქანქარის მასაზე.

წარმოვიდგინოთ, რომ ორი ერთნაირი ქანქარა დავკიდეთ გვერდი-გვერდ ისე, რომ ისინი თითქმის ეხებოდნენ ერთმანეთს. გადავხარეთ ისინი ერთი და იგივე მანძილით ერთსა და იმავე მიმართულებით ისე, რომ გვერდი-გვერდ დარჩნენ და გავუშვით ხელი.

გააგრძელეთ მსჯელობა.

ამოხსნა:

ორი ერთნაირი ქანქარა ერთნაირი საწყისი პირობებით იმოძრავებენ ერთად ისე, რომ ერთმანეთზე არავითარ ზემოქმედებას არ მოახდენენ (1 ქულა),

ამიტომ შეიძლება მათი აზრობრივად წარმოდგენა როგორც ერთი ორმაგი მასის ქანქარის, რომელიც იგივე პერიოდით ირხევა, რითაც თითოეული მათგანი. ამრიგად ორმაგი მასის ქანქარა ირხევა იგივე პერიოდით, როგორითაც ერთმაგი მასის ქანქარა. (1 ქულა)

მსჯელობა ადვილად ზოგადდება 3, 4 და ა. შ. ი ქანქარაზე. (1 ქულა)

**37. (მაქს. 3 ქულა)** გაატარეთ ანალოგია ზამბარაზე მიმაგრებული ტვირთის მექანიკურ რხევებსა და რხევით კონტურში ელექტრომაგნიტურ რხევებს შორის. შეადგინეთ ერთმანეთის ანალოგიურ ფიზიკურ სიდიდეთა ცხრილი.

ამოხსნა:

ზამბარას წაგრძელება $x$	კონდენსატორის მუხტი $q$
ზამბარას პოტენციური ენერგია $kx^2/2$ ( $x$ -თან დაკავშირებული ენერგია)	კონდენსატორის ელექტრული გელის ენერგია $q^2/2C$ ( $q$ -თან დაკავშირებული ენერგია)

↓

ზამბარას სიხისტე $k$	კონდენსატორის ტევადობის შებრუნებული სიდიდე $1/C$
----------------------	--

ან

დრეკადობის ძალა $F=kx$	ძაბვა $U=q/C$
------------------------	---------------

↓

ზამბარას სიხისტე $k$	კონდენსატორის ტევადობის შებრუნებული სიდიდე $1/C$
----------------------	--

(1 ქულა)

სხეულის სიჩქარე $v=\Delta x/\Delta t$	დენის ძალა კონტურში $I=\Delta q/\Delta t$
სხეულის კინეტიკური ენერგია $mv^2/2$ ( $v$ -თან დაკავშირებული ენერგია)	კოჭას მაგნიტური გელის ენერგია $LI^2/2$ ( $I$ -თან დაკავშირებული ენერგია)

↓

სხეულის მასა $m$	კოჭას ინდუქციურობა $L$
------------------	------------------------

(1 ქულა)

მექანიკური რხევის პერიოდი $T = 2\pi \sqrt{\frac{m}{k}}$	ელექტრომაგნიტური რხევის პერიოდი $T = 2\pi \sqrt{LC}$
--	---

(1 ქულა)